

## აკადემიური მოსწრების შეფასების კრიტერიუმები

### კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 1

#### სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტები:

- I. კლინიკური უნარ-ჩვევები - 24 ქულა;
- II. აკადემიური აქტივობა - 24 ქულა;
- III. კოლოკვიუმი - 12 ქულა;
- IV. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

კურაციული მეცადინეობა ტარდება 14 დღის განმავლობაში; პირველ მეცადინეობაზე სტუდენტის აქტივობა არ ფასდება. შემდეგი 12 მეცადინეობა დათმობილი აქვს აკადემიურ და კლინიკურ აქტივობებს – სტუდენტები, მასწავლებელთან ერთად, მუშაობენ კლინიკაში და იღრმავებენ აკადემიურ ცოდნას; კურაციის ბოლო, მე-14 მეცადინეობაზე ტარდება კოლოკვიუმი.

**კლინიკური უნარ-ჩვევები - 24 ქულა;** ფასდება 3 მეცადინეობა, თითოეული მეცადინეობა მაქსიმუმ 8 ქულით.

- ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევა - აფასებს პირის ღრუში არსებული კბილების მდგომარეობას - 2 ქულა
  - (2 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ადგენს პირის ღრუში არსებული კბილების მდგომარეობას
  - 1 ქულა - სტუდენტი არასრულყოფილად ადგენს პირის ღრუში არსებული კბილების მდგომარეობას
  - 0 ქულა - სტუდენტი ვერ ახერხებს პაციენტის პირის ღრუში არსებული კბილების მდგომარეობის შეფასებას
- დიაგნოზის დასმა – 1 ქულა
  - 1 ქულა - დიაგნოზი სწორად და სრულყოფილად არის დასმული
  - 0,5 ქულა - დიაგნოზი სწორად მაგრამ არასრულყოფილად არის დასმული
  - 0 ქულა - დიაგნოზი არასწორია

- ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევების შედეგების (მათ შორის, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული და სხვ). ანალიზი - 1 ქულა
  - 1 ქულა - გამოკვლევების შედეგების ანალიზი სწორია და სრულყოფილი
  - 0,5 ქულა - გამოკვლევების შედეგების ანალიზი არასრულყოფილია
  - 0 ქულა - სტუდენტი ვერ ახერხებს გამოკვლევების შედეგების ანალიზს
  
- ორთოპედიული პაციენტის კლინიკური ისტორიის შევსება - 1 ქულა
  - 1 ქულა - კლინიკური ისტორია შევსებულია სრულყოფილად
  - 0,5 ქულა - კლინიკური ისტორია შევსებულია არასრულყოფილად
  - 0 ქულა - ისტორია არ არის შევსებული
  
- ორთოპედიული პაციენტისთვის მკურნალობის შემდგომი რჩევა-დარიგების მიწოდება - 1 ქულა
  - 1 ქულა - სტუდენტი პაციენტს მკურნალობის შემდგომ რჩევა-დარიგებს აძლევს სრულყოფილად
  - 0,5 ქულა - სტუდენტი პაციენტს მკურნალობის შემდგომ რჩევა-დარიგებს აძლევს ნაწილობრივ/არასრულყოფილად
  - 0 ქულა - სტუდენტი პაციენტს მკურნალობის შემდგომ რჩევა-დარიგებას არ აძლევს ან აძლევს არასწორად
  
- პრაქტიკული უნარ - ჩვენები - 2 ქულა:
  - ზედა და ქვედა ყბებიდან ანაბეჭდების აღება მოუხსნელი ან მოსახსნელი კონსტრუქციების დამზადების მიზნით- 1 ქულა
  - ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა მოუხსნელი ან მოსახსნელი კონსტრუქციების დროს - 0,5 ქულა
  - მოუხსნელი ან მოსახსნელი კონსტრუქციების მორგება - 0,5 ქულა

**II. აკადემიური აქტივობა - 24 ქულა;** თითოეული მეცადინეობა – 0-2 ქულა (2×12=24):

- 2 ქულა - საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. მსჯელობს ლოგიკურად, შეუძლია გამოკვლევის მეთოდებსა და მკურნალობის გეგმაზე დეტალური მსჯელობა; იცის დაავადების/მდგომარეობის მკურნალობის მეთოდები და ტექნიკა; ტერმინოლოგია გამართულია, ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა.
- 1,5 ქულა - ფლობს საკითხს, პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, მსჯელობს ლოგიკურად გამოკვლევის მეთოდებსა და მკურნალობის გეგმაზე, თუმცა აღინიშნება მცირე დეფიციტი დასკვნების გაკეთებისას. იცის დაავადების/მდგომარეობის მკურნალობის მეთოდები და ტექნიკა; ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა.
- 1 ქულა - პასუხი ზოგადი ხასიათისაა, საკითხს ფლობს არასრულად, მსჯელობა არათანმიმდევრულია, უჭირს დაავადების/მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის

თავმოყრა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გეგმის შესახებ შეხედულების ჩამოყალიბება, დასკვნების გამოტანისას უშვებს შეცდომებს. ჩანს ხარვეზები ძირითადი ლიტერატურის ფლობაში.

- 0,5 ქულა - საკითხის ფლობა არასრულია და ფრაგმენტული ცოდნით შემოიფარგლება. ტერმინოლოგიურად გაუმართავია, ვერ ახერხებს დაავადების შესახებ ინფორმაციის თავმოყრას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გეგმის ჩამოყალიბებას. პასუხი არსებითად მცდარია. დამატებით კითხვებზე ვერ პასუხობს.
- 0 ქულა: საერთოდ ვერ ავლენს საკითხის გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

### III. კოლოკვიუმი - 12 ქულა.

40 ტესტი, თითოეული 4 სავარაუდო პასუხით; 1 ტესტი = 0,3 ქულა.

ტიპობრივი ტესტები ცნობილია სტუდენტებისათვის კურსის დაწყებისთანავე.

### IV. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. გამოცდა კომბინირებულია.

ა) ზეპირი (ბილეთი 3 საკითხით. თითო საკითხი ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით) – 30 ქულა:

9-10 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, პასუხი არის სრული და ამომწურავი, მსჯელობს ლოგიკურად, დამატებით კითხვებზე პასუხები ამომწურავია, ავლენს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ღრმა ცოდნას.

7-8 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას, პასუხი არის სრული თუმცა გარკვეული ხარვეზებით, მსჯელობს ლოგიკურად, საკითხის გარშემო დამატებით კითხვებზე პასუხები არათანმიმდევრულია, ავლენს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ცოდნას.

5-6 ქულა - პასუხი სრულია, მოიცავს ძირითად ინფორმაციას, მსჯელობს ლოგიკურად, დამატებით კითხვებზე პასუხები მხოლოდ ძირითად ინფორმაციას მოიცავს.

3-4 ქულა - პასუხი არასრულია, მოიცავს ძირითად ინფორმაციას. მსჯელობს არათანმიმდევრულად, ნაკლებად ეყრდნობა თანამედროვე გაიდლაინებსა და რეკომენდაციებს. დამატებით კითხვებზე პასუხები არასრულყოფილია.

1-2 ქულა - პასუხი არასრულია, შეცდომებია ძირითადი ინფორმაციის გადმოცემაშიც. მსჯელობს არათანმიმდევრულად, დამატებით კითხვებზე პასუხები არ აქვს.

0 ქულა - საკითხი არ იცის.

ბ) სიტუაციური ამოცანა - 10 ქულა (სიტუაციური ამოცანის შეფასება მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული პომპონენტის შეფასებას):

- დიაგნოზი შეესაბამება ამოცანაში მოცემულ სიტუაციას – 2 ქულა.  
 2 ქულა - დიაგნოზი სწორია და სრულყოფილია  
 1 ქულა - დიაგნოზი სწორია, მაგრამ არასრულყოფილი  
 0 ქულა - დიაგნოზი არასწორია
- ორთოპედიული კონსტრუქციის შერჩევა - 2 ქულა.  
 2 ქულა - შერჩეულია სწორად;  
 0 ქულა - შერჩეულია არასწორად
- ორთოპედიული მკურნალობის გეგმის შედგენა – 2 ქულა.  
 2 ქულა - მკურნალობის გეგმა შედგენილია სწორად და სრულყოფილად  
 1 ქულა - მკურნალობის გეგმა შედგენილია სწორად, მაგრამ არასრულყოფილად  
 0 ქულა - მკურნალობის გეგმა არ არის შედგენილი
- კონკრეტული ორთოპედიული მანიპულაციის ჩასატარებლად საჭირო ინსტრუმენტების (ბუნიკები, ბორები, საანაბეჭდო კოვზები და სხვ.) შერჩევა - 2 ქულა.  
 2 ქულა - ინსტრუმენტები შერჩეულია სწორად და სრულყოფილად  
 1 ქულა - ინსტრუმენტები შერჩეულია სწორად და მაგრამ არასრულყოფილად  
 0 ქულა - ინსტრუმენტები არ არის შერჩეული
- საანაბეჭდო მასის შერჩევა და მომზადება - 2 ქულა.  
 2 ქულა - საანაბეჭდო მასა შეარჩია და მოამზადა ყველა წესის დაცვით  
 1 ქულა - საანაბეჭდო მასა შეარჩია სწორად, თუმცა მოზადებისას არ იქნა დაცული ყველა წესი

0 ქულა - - საანაბეჭდო მასა შერჩევა და მომზადება არასწორად განხორციელდა

## კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია- 2

### სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტებია:

I. კლინიკური უნარ-ჩვევები - 27 ქულა;

II. აკადემიური აქტივობა - 26 ქულა;

III. კოლოკვიუმი - 7 ქულა;

IV. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

კურაციული მეცადინეობა ტარდება 15 დღის განმავლობაში; პირველ მეცადინეობაზე სტუდენტის აქტივობა არ ფასდება. შემდეგი 13 მეცადინეობა დათმობილი აქვს აკადემიურ და კლინიკურ აქტივობებს – სტუდენტები, მასწავლებელთან ერთად, მუშაობენ კლინიკაში და იღრმავებენ აკადემიურ ცოდნას და იძენენ კლინიკურ უნარებს; კლინიკური აქტივობის შეფასება ხორციელდება კურაციის პერიოდში 3-ჯერ. კურაციის ბოლო, მე-15 მეცადინეობაზე ტარდება კოლოკვიუმი.

**კლინიკური უნარ-ჩვევები - 27 ქულა;** ფასდება 3 მეცადინეობა, თითოეული მეცადინეობა მაქსიმუმ 9 ქულით, საბოლოოდ ითვლება საშუალო არითმეტიკული.

- ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევა: პირის ღრუს დათვალიერება, ლორწოვანი გარსის მდგომარეობის შეფასება, ალვეოლური მორჩების ატროფიის ხარისხის დადგენა - 2 ქულა

(1,5-2 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ასრულებს ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევას: სწორად აფასებს ლორწოვანი გარსის მდგომარეობას, ადგენს ალვეოლური მორჩების ატროფიის ხარისხს;

1-1,5 ქულა - სტუდენტი ასრულებს ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევას გარკვეული ხარვეზებით: აფასებს ლორწოვანი გარსის მდგომარეობას, უჭირს ალვეოლური მორჩების ატროფიის ხარისხის დადგენა;

0,1-1 ქულა - სტუდენტს უჭირს ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევა: ზედაპირულად აფასებს ლორწოვანი გარსის მდგომარეობას, ვერ ახერხებს ალვეოლური მორჩების ატროფიის ხარისხის დადგენას;

0 ქულა - სტუდენტი ვერ ახერხებს პაციენტის პირის ღრუს გამოკვლევას.

- დიაგნოზის დასმა (ადენტია, პათოლოგიური ცვეთა, პაროდონტის პათოლოგია) – 1 ქულა

1 ქულა - დიაგნოზი სწორად და სრულყოფილად არის დასმული

0,5 ქულა - დიაგნოზი სწორად მაგრამ არასრულყოფილად არის დასმული

- 0 ქულა - დიაგნოზი არასწორია
- ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევების შედეგების (მათ შორის, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული და სხვ). ანალიზი - 1 ქულა
  - 1 ქულა - გამოკვლევების შედეგების ანალიზი სწორია და სრულყოფილი
  - 0,5 ქულა - გამოკვლევების შედეგების ანალიზი არასრულყოფილია
  - 0 ქულა - სტუდენტი ვერ ახერხებს გამოკვლევების შედეგების ანალიზს
- ორთოპედიული პაციენტის კლინიკური ისტორიის შევსება - 1 ქულა
  - 1 ქულა - კლინიკური ისტორია შევსებულია სრულყოფილად
  - 0,5 ქულა - კლინიკური ისტორია შევსებულია არასრულყოფილად
  - 0 ქულა - ისტორია არ არის შევსებული
- ორთოპედიული პაციენტისთვის მკურნალობის შემდგომი რჩევა-დარიგების მიწოდება - 1 ქულა
  - 1 ქულა - სტუდენტი პაციენტს მკურნალობის შემდგომ რჩევა-დარიგებს აძლევს სრულყოფილად
  - 0,5 ქულა - სტუდენტი პაციენტს მკურნალობის შემდგომ რჩევა-დარიგებს აძლევს ნაწილობრივ/არასრულყოფილად
  - 0 ქულა - სტუდენტი პაციენტს მკურნალობის შემდგომ რჩევა-დარიგებას არ აძლევს ან აძლევს არასწორად
- პრაქტიკული უნარ - ჩვენები - 3 ქულა:
  - უკბილო ზედა და ქვედა ყბებიდან ანატომიური და ფუნქციური ანაბეჭდების აღება - 1 ქულა
  - სრული ადენტის დროს ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა - 0,5 ქულა
  - ზედა და ქვედა მთლიანი მოსახსნელი პროთეზების მორგება - 0,5 ქულა
  - ყბა-სახის მიდამოს დეფექტების მკურნალობის დროს საჭირო აპარატების შერჩევა - 1 ქულა

**II. აკადემიური აქტივობა - 26 ქულა;** თითოეული მეცადინეობა – 0-2 ქულა (2×13=26):

- 2 ქულა - საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. მსჯელობს ლოგიკურად, შეუძლია გამოკვლევის მეთოდებსა და მკურნალობის გეგმაზე დეტალური მსჯელობა; იცის დაავადების/მდგომარეობის მკურნალობის მეთოდები და ტექნიკა; ტერმინოლოგია გამართულია, ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა.
- 1,5 ქულა - ფლობს საკითხს, პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, მსჯელობს ლოგიკურად გამოკვლევის მეთოდებსა და მკურნალობის გეგმაზე, თუმცა აღინიშნება მცირე დეფიციტი დასკვნების გაკეთებისას. იცის დაავადების/მდგომარეობის მკურნალობის მეთოდები და ტექნიკა; ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა.

- 1 ქულა - პასუხი ზოგადი ხასიათისაა, საკითხს ფლობს არასრულად, მსჯელობა არათანმიმდევრულია, უჭირს დაავადების/მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის თავმოყრა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გეგმის შესახებ შეხედულების ჩამოყალიბება, დასკვნების გამოტანისას უშვებს შეცდომებს. ჩანს ხარვეზები ძირითადი ლიტერატურის ფლობაში.
- 0,5 ქულა - საკითხის ფლობა არასრულია და ფრაგმენტული ცოდნით შემოიფარგლება. ტერმინოლოგიურად გაუმართავია, ვერ ახერხებს დაავადების შესახებ ინფორმაციის თავმოყრას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გეგმის ჩამოყალიბებას. პასუხი არსებითად მცდარია. დამატებით კითხვებზე ვერ პასუხობს.
- 0 ქულა: საერთოდ ვერ ავლენს საკითხის გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

### III. კოლოკვიუმი - 7 ქულა.

35 ტესტი, თითოეული 4 სავარაუდო პასუხით; 1 ტესტი = 0,2 ქულა.

ტიპობრივი ტესტები ცნობილია სტუდენტებისათვის კურსაციის დაწყებისთანავე.

### IV. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

X სემესტრის ბოლოს ტარდება დამამთავრებელი, ინტეგრირებული გამოცდა, რომელიც ფასდება 40 ქულით. გამოცდის შინაარსი შედგება პროგრამის განხორციელების დროს სპეციალური კლინიკური დისციპლინების ციკლის/ბლოკის ყველა სასწავლო კურსის თემატური საკითხებიდან მათი კრედიტ-მოცულობის პროპორციულად. გამოცდა ტარდება თსსუ-ს საგამოცდო ცენტრში, ტესტურად, პროგრამული ფორმატით. საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები განთავსებულია თსსუ-ს ვებგვერდზე და ცნობილია სტუდენტებისთვის. საგამოცდო ტესტები წარმოებულია აღნიშნული საკითხები/ქვესაკითხებიდან.

ინტეგრირებული გამოცდა მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც ისწავლება X სემესტრში:

- ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია - 7 კრედიტი;
- ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია - 3 კრედიტი;
- ყბა-სახის ქირურგია 4 და იმპლანტოლოგია - 6 კრედიტი;
- ორთოდონტია 4 - 3 კრედიტი;
- კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 2 - 6 კრედიტი.

ინტეგრირებულ გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისათვის აუცილებელია ბლოკში შემავალი ყველა სასწავლო კურსში შუალედური შეფასების ე.წ. წინასაგამოცდო ბარიერის გადალახვა, რომელიც შეადგენს 11 ქულას. პრინციპი შემდეგია: სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება, თუ შუალედური შეფასების და გამოცდაზე მაქსიმალური შეფასების (40 ქულა) მიღების შემთხვევაში ჯამურად შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა. ერთ-ერთ სასწავლო

კურსშიც კი ამ წინაპირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს უკუჩვენებას გამოცდაზე დაშვებისთვის. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ყველა "დაინტეგრირებულ" სასწავლო კურსს გადის თავიდან.

ინტეგრირებული შუალედური შეფასების (0-60 ქულა) გამოთვლის ალგორითმი, თითოეული დისციპლინის შუალედური შეფასების და მისი კრედიტ-მოცულობის გათვალისწინებით, ასეთია:

- ინტეგრირებულ გამოცდაში შემავალ ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული შუალედური შეფასება მრავლდება ამ სასწავლო კურსის კრედიტ-მოცულობაზე;
- ჯამდება ინტეგრირებულ გამოცდაში შემავალ ყველა სასწავლო კურსში მიღებული შუალედური შეფასებების ნამრავლი ამ სასწავლო კურსის კრედიტ-მოცულობაზე;
- მიღებული ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის ჯამურ კრედიტ-მოცულობაზე;

მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებელი წარმოადგენს ინტეგრირებული გამოცდის ბლოკში შემავალი სასწავლო კურსების ჯამურ შუალედურ შეფასებას, რომელიც მომავალში დაჯამდება საგამოცდო შეფასებასთან; მიღებული ჯამი კი წარმოადგენს ინტეგრირებული გამოცდის საბოლოო შეფასებას.